1. ნახატების კონკურსი

კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ ანტინარკოტიკულ თემაზე შექმნან ნახატები შესაბამისი სლოგანით. გამოვლინდება საუკეთესო ათეული და მათგან სამი გამარჯვებული. პირველ ადგილზე გასული ნახატი დაიბეჭდება პლაკატის სახით და დარიგდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

- კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ საჯარო და კერძო სკოლის VII-XII კლასის მოსწავლეებს ინდივიდუალურად ან 2 მოსწავლისგან შემდგარი გუნდის სახით;
- მოსწავლემ/მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ ანტინარკოტიკულ თემაზე შექმნილი ნახატი შესაბამისი სლოგანით. სტილი შესაბამისობაში უნდა იყოს პლაკატის კონცეფციასთან. სლოგანი მოფიქრებული უნდა იყოს კონკურსანტების მიერ;
- ნახატის შესრულების ტექნიკა შეზღუდული არ არის. მისი ზომა უნდა შეესაბამებოდეს <u>A3 ფორმატს (420X297 მმ)</u> და წარმოდგენილი უნდა იყოს ჩარჩოს გარეშე. ნამუშევრის უკანა გვერდზე აუცილებელია მიეთითოს ინფორმაცია კონკურსანტის/კონკურსანტების შესახებ: სახელი, გვარი, სკოლის დასახელება და კლასი.
- I ეტაპი (სასკოლო ტური) - თითოეული სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო-საგანმანათლებლო რესურსცენტრში (შემდგომში რესურსცენტრი) წარადგენს არაუმეტეს 2 ნაშრომს. ნაშრომების შერჩევა უნდა მოხდეს სკოლაში შექმნილი კომისიის მიერ. კომისია უნდა დაკომპლექტდეს სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების და მოსწავლეების წარმომადგენლებისგან;
- II ეტაპი (რაიონული ტური) - რესურსცენტრი შეარჩევს საუკეთესო ნამუშევრებს და არაუმეტეს 2 ნაშრომისა წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში; ნამუშევრების შერჩევა უნდა უზრუნველყოს რესურსცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებულმა კომისიამ; ნახატები სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური სახით.
- III - ეტაპი (დასკვნითი ტური) - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია განიხილავს წარმოდგენილ ნამუშევრებს, შეარჩევს საუკეთესო ათეულს, რომელთაგან გამოვლინდება I, II და III ადგილზე გასული ნახატები;
- ათეულში გასული ნახატების ავტორები დაჯილდოვდებიან სერტიფიკატებით და წიგნის მაღაზიის ვაუჩერით, ხოლო I, II და III ადგილზე გასული მოსწავლეები — ფულადი პრიზებით შესაბამისად 375, 250, 125 ლარის ოდენობით. (2 მოსწავლისგან შემდგარი გუნდის გამარჯვების შემთხვევაში პრიზები გაიყოფა გუნდის წევრებზე);
- პირველ ადგილზე გასული ნახატის გამოყენებით დაიბეჭდება პლაკატები, რომლებიც განაწილდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ანტინარკოტიკულ კამპანიაში ჩართულ დაწესებულებებში და ხელმისაწვდომი იქნება პრეზენტაციაზე დამსწრე პირებისთვის.